სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	რუსეთისმცოდნეობა Russian Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	რუსეთისმცოდნეობის მაგისტრი Master of Russian Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	120 ECTS (პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობა 4 სემესტრი): • სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 კრედიტი; • არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი; • სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი	დალი კანდელაკი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ/ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, სამართალი, საზოგადოებრივი გეოგრაფია, ეკონომიკა, კულტურის კვლევები, ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნებათმცოდნეობა, რუსეთისმცოდნეობა, კავკასიოლოგია, ამერიკისმცოდნეობა და ა.შ.); უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის/განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული საგანმანათლებლო დოკუმენტი[1]. • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება (მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ტესტის სამ ნაწილში); • უცხო ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით ან/და საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (TOEFL, IELTS ან სხვა მათი ეკვივალენტური). • საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას ქართულ ენაში. გამოცდიდან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის

[1] წინაპირობა ვრცელდება მობილობით/შიდა მობილობით გადმოსვლის მსურველ მაგისტრანტობის კანდიდატებზეც.

	დამადასტურებელ სერტიფიკატს ან ზოგადი განათლება მიღებული აქვს ქართულენოვან სკოლაში. • სპეციალობის გამოცდა[2] (მინ. 51 ქულის მიღება). • თსუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საგანაცხადო დოკუმენტაცია.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანია:** • რუსეთისმცოდნეობის სფეროში სტუდენტისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მრავალმხრივი, ინტერდისციპლინური ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა, რომელიც მას დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს; • საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, დარგობრივი კომპეტენციებით, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ–ჩვევებით აღჭურვილი პროფესიული კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის და სხვა საკითხების ექსპერტიზას, ასევე, ახალი, ინოვაციური იდეების შექმნას, საკუთარი წვლილის შეტანას დარგის განვითარებაში; • სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავება;
სწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** **ცოდნა და გაცნობიერება:** • აღწერს რუსეთისმცოდნეობის სფეროს მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების არსს და განმარტავს მნიშვნელოვან საკითხებს უახლესი თეორიების საფუძველზე. აიდენტიციფირებს საკითხებს რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შესახებ; • ღრმად და სისტემურად მსჯელობს რუსეთის ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ; განიხილავს და აანალიზებს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში რუსეთში არსებული მდგომარეობის მიზეზებსა და შედეგებს. **უნარი:**

[2] **გამოცდის ფორმატი (წერითი):**
ა) ორი კონკრეტული თეორიული საკითხი რუსეთის ისტორიიდან (თითოეული 25 ქულა, ჯამში 50 ქულა);
ბ) ორი ისტორიული დოკუმენტის ანალიზი (თითოეული 25 ქულა, ჯამში 50 ქულა). კონკურსანტი გაეცნობა ისტორიული დოკუმენტის ტექსტს და უპასუხებს დასმულ კითხვებს, სადაც მითითებული იქნება ყოველი კითხვის შესაბამისი ქულა;

	• ახდენს რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტერპრეტაციას ეროვნულ, რეგიონალურ და მსოფლიო კონტექსტში; ურთიერთკავშირში განიხილავს რუსეთში მიმდინარე პროცესებს, აიდენტიფიცირებს პრობლემებს და განიხილავს მრავალი სხვადასხვა პერსპექტივით. • კრიტიკულად აფასებს რუსეთისმცოდნეობის სფეროში მიღებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის. • იძიებს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რუსეთისმცოდნეობის სფეროს კომპლექსური რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს და, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევას დამოუკიდებლად ახორციელებს (რეფერატი, სამაგისტრო ნაშრომი). • კრიტიკულად აანალიზებს საარქივო/საბიბლიოთეკო, ინტერნეტ-რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციას რუსეთის შესახებ და ახდენს მის ინოვაციურ სინთეზს, შეფასებას და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს. • მონაწილეობს დისკუსიაში პროფესიულ დონეზე, წარადგენს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს ქართულ და უცხოურ (ინგლისურ/რუსულ/გერმანულ/ფრანგულ) ენებზე, როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** • ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით კომპლექსურ, არაპროგნოზირებად და მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში. • ინტელექტუალურად და ეთიკურად აფასებს რუსეთის წარსულ და მიმდინარე მოვლენებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს; პატივისცემით ეპყრობა ქვეყნის ისტორიულ მემკვიდრეობას და კულტურულ ტრადიციებს; ტოლერანტულად აფასებს სოციალურ, ეთნო-ეროვნულ, რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებს. • დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, საშინაო დავალების, პრეზენტაციის, რეფერატის, სამაგისტრო ნაშრომის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს

	(ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები და ა.შ.). **ლექცია** - სწავლა-სწავლების დიდაქტიკური მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი, როგორც ძირითადი მოსაუბრე, აქტიური ან პასიური მსმენელის როლში მყოფ სტუდენტებს ზეპირი ფორმით აცნობს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული თემატიკის გარშემო. ლექცია ემსახურება სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემას. **წერითი მუშაობის მეთოდი** - წერითი ფორმით კვლევის მონაცემების წარდგენა აკადემიური ნაშრომის - ანალიტიკური რეფერატის - სახით (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად). **შემთხვევის ანალიზი (Case Study)** - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში. **დისკუსია–დებატები** - დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე. **გონებრივი იერიში** (**Brainstorming)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ კონკრეტული საკითხის შესახებ სტუდენტებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკლაურად განსხვავებული აზრის, იდეის შეგროვებას, კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას. **აუდიო-ვიზუალური მუშაობა -** აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში სტუდენტებისთვის მასალის აუდიო და/ან ვიზუალური გზით მიწოდებას ისეთი ელექტრონული და/ან მატერიალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სლაიდები, ვიდეო რგოლები, აუდიო ჩანაწერები, ფოტოები და სხვა. პრეზენტაციისას სტუდენტებში ერთდროულად აქტიურდება სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრების მაღალ ხარისხს. **ელექტრონული სწავლება** - თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგებზე დაფუძნებული სწავლის მართვის სისტემის e-learning.tsu.ge-ის გამოყენებით სასწავლო მასალების მიწოდება, კონსულტირება.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და

	დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ქულებში გამოსახული რაოდენობრივი მაჩვენებელი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში (მინ. 21 ქულა). „რუსეთისმცოდნეობის“ პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, **სამაგისტრო ნაშრომის დაცვა** შესაძლებელია პროგრამის სასწავლო კურსების სრულად გავლის შემთხვევაში[3]. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესი, რომლითაც განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

[3] სწავლის ბოლო სემესტრში სტუდენტს ეძლევა 40 კრედიტის აღების უფლება, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად შეუძლია 10 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კურსების მოსმენა.

	შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს რეცენზენტის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად (FX - ვერ ჩააბარა) შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F - ჩაიჭრა) შეფასებისას, მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **რეცენზენტის შეფასება - მაქსიმუმ 60 ქულა:** (მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება რეცენზენტის მიერ ნაშრომის მინიმუმ 31 ქულით შეფასებისას) ა) ნაშრომის ფორმალური მხარე - მაქსიმუმ 10 ქულა; ბ) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - მაქსიმუმ 50 ქულა; • ფაქტობრივი მასალის ფლობა – 15 ქულა; • კვლევისა და ანალიზის უნარი – 15 ქულა; • არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი – 10 ქულა; • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა – 10 ქულა. **კომისიის შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა:** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა) ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - მაქს. 30 ქულა; • მასალის ფლობა – 10 ქულა; • ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი – 10 ქულა; • აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი – 10 ქულა. ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი - მაქს. 10 ქულა.
დასაქმების სფეროები	რუსეთისმცოდნეობის მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს:

	✓ რეგიონმცოდნეობის, აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის პრობლემატიკის შესწავლით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში; ✓ საჯარო სკოლაში (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ სასწავლებელში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ✓ საჯარო სამსახურში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში; ✓ საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში და ა.შ. მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის: რუსეთისმცოდნეობა, აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, რეგიონული კვლევები, პოლიტიკური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, კულტურის კვლევები, ისტორია, ევროპისმცოდნეობა და ა.შ.).
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „რუსეთისმცოდნეობა“ სწავლის წლიური საფასური საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა ხორციელდება თსუ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ. პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით. პროგრამის სასწავლო კომპონენტი განხორციელდება თსუ-ში, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - ამავე უნივერსიტეტის, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ბიბლიოთეკე-ბის, სამთავრობო დაწესებულებების ბაზაზე[4]. **მატერიალურ-ტექნიკური რესურსი თსუ-ში:** სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, ასევე თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურს–ცენტრები, კერძოდ:

[4] თსუ-ს მიერ გაცვლით და საერთაშორისო პროგრამის „ერაზმუს +“ ფარგლებში ორგანიზებულ კონკურსში მაგისტრანტს გამარჯვების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს სასწავლო კომპონენტის ნაწილი უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეასრულოს.

	• ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს VIII კორპუსი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. N 13); • თსუ-ს ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ქუჩა N11; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა http://www.sciencelib.ge/ • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი - https://e-learning.tsu.ge/ • სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საგნობრივი ბიბლიოთეკა (თსუ VIII კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 13, აუდ. N 230). • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სწავლება ხორციელდება თსუ I კორპუსის (ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1), V კორპუსის (ი. ჭავჭავაძის გამზ. № 36), VI კორპუსისა (ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8) და VIII კორპუსის (ი. ჭავჭავაძის გამზ. № 13) შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ აუდიტორიებში; ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია 5 – 10 სტუდენტის მიღება.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „რუსეთისმცოდნეობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბიუჯეტიდან, რომლებიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. შესაბამისი ფაკულტეტების ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ხოლო მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე „რუსეთისმცოდნეობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა 2008 წლიდან მოქმედებს. პროგრამაზე სწავლობდნენ/სწავლობენ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების - ისტორია, რუსული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება და სამართალი - კურსდამთავრებულები. პროგრამა საინტერესო და სასარგებლოა

	მაგისტრანტებისათვის მათი სამომავლო კარიერისა და ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა მაგისტრატურის სხვადასხვა პროგრამასთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის რუსეთისმცოდნეობის სფეროსათვის აუცილებელი მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც რუსეთის, რუსეთ–კავკასიის ქვეყნების, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კვლევა მნიშვნელოვანი სამეცნიერო სფეროა. რუსეთთან მეზობლობა და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა განაპირობებს რუსეთისმცოდნეობის, კავკასიოლოგიის და ქართველოლოგიური სკოლის საერთო კვლევით პრობლემატიკას. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული ინტერდისციპლინური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ. პროგრამა ითვალისწინებს რუსეთისმცოდნეობის დარგში კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და უცხოეთის უნივერსიტეტების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე მატულობს ინტერესი რუსეთის მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნის როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. **ანალოგიური/მომიჯნავე პროგრამები მსოფლიოს უნივერსიტეტებში:** 1. Master's Programme in Russian, Eurasian, and Eastern European Studies https://www.helsinki.fi/en/degree-programmes/russian-eurasian-and-eastern-european-studies-masters-programme 2. Russian Studies MA. University College London https://www.ucl.ac.uk/prospective-students/graduate/taught-degrees/russian-studies-ma 3. MA Program in Russian. University of Arizona. https://grad.arizona.edu/catalog/programinfo/RUSSMA 4. Master in Eastern European and Russian Studies. Vilnius University https://www.vu.lt/en/studies/master-studies/eastern-european-and-russian-studies 5. Russian and Eurasian Studies (MA). Leiden University. https://www.universiteitleiden.nl/en/education/study-programmes/master/russian-and-eurasian-studies 6. MSc in Russian and East European Studies. University of Oxford https://www.ox.ac.uk/admissions/graduate/courses/msc-russian-and-east-european-studies

	7. Russian and Slavic Studies. New York University https://as.nyu.edu/departments/russianslavic/graduate/ma-in-russian-and-slavic-studies.html 8. Master's Programme in Russian and Eurasian Studie. Uppsala University. https://www.uu.se/en/study/programme/masters-programme-russian-and-eurasian-studies **სამაგისტრო ნაშრომების საკვლევი თემატიკა:** პროგრამა ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან სწავლობს რუსეთის წარსულ და მიმდინარე პროცესებს, შესაბამისად, მაქსიმალურად წახალისდება ინტერდისციპლინური კვლევები სხვადასხვა დარგების უახლესი მიღწევების ინტეგრირების საფუძველზე. სტუდენტებმა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელების დახმარებით, შესაძლოა იკვლიონ რუსეთის ისტორიის, საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის, რუსული ცივილიზაციური კუთვნილების, ლიტერატურის, რუსეთ-საქართველოს, რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების და სხვა საკითხების შესახებ.